დანართი „ა"

დაბრუნების პოლიტიკა დისტანციურად დადებული საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში

I. საქონლის დაბრუნების პოლიტიკა

https://pavon.ge-ზე შეძენილი პროდუქციის დაბრუნების უფლება მომხმარებელს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, აქვს მის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ ნივთის მფლობელობაში მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

II. ნივთის დაბრუნების/გაცვლის პირობები

მომხმარებელს **<u>უფლება აქვს</u>** დააბრუნოს ნივთი შემდეგ შემთხვევებში:

ა. გადაიფიქრეთ ნივთის შეძენა

ბ. ნივთი არ შეესაბამება შეკვეთას ან ვებგვერდზე განთავსებულ პროდუქციას;

მოვაჭრე **<u>უარს გეტყვით</u>** ნივთის დაბრუნებაზე/გაცვლაზე თუ:

- მომხმარებლის მიერ დარღვეულია პროდუქტის შეფუთვის მთლიანობა (ყუთი, ლუქი, იარლიყი) (არ იგულისხმება შეფუთვის გახსნა ნივთის შემოწმების მიზნით), დარღვეულია სარეალიზაციო იერსახე, დატანილი იარლიყი არის დაზიანებული, მოხსნილი, დაკარგული;
- პროდუქტზე აღინიშნება გამოყენების კვალი;
- პროდუქტს არ ახლავს შეძენის დროს გადაცემული ყველა თანმხლები ნაწილი და დოკუმენტი;
- მომხმარებელმა არ წარმოადგინა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სველი ბეჭდით

დამოწმებული საგადახდო დავალება, რომლითაც დასტურდება თანხის მიმღები კომპანია);

III. ნივთის დაბრუნების/შეცვლის პროცედურა

1. პროდუქტის დაბრუნების სურვილის შემთხვევაში მომხმარებელმა (პირი, რომელმაც განახორციელა გადახდა ონლაინ) პროდუქტის მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში ჩვენი ელ-ფოსტის მისამართზე: marketingpulllove@gmail.com უნდა გამოაგზავნოს შევსებული და ხელმოწერილი **განაცხადის ფორმა.** განცხადებას ასევე უნდა დაურთოს **გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი** (სველი ბეჭდით დამოწმებული საგადახდო დავალება, რომლითაც დასტურდება თანხის მიმღები კომპანია), **პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ასლი, ნივთის ფოტოები.** დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით კომპანიას სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით.

2. თუ თქვენ გსურთ ნივთის გადაცვლა ზომის, ფერის და/ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის გამო:

- ნივთი უნდა დააბრუნოთ განაცხადის გაგზავნის შემდეგ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა უშუალოდ მისამართზე: საქართველო, თბილისი, BBC, ბესიკის ქ. 4 ან მოგვმართოთ და ჩვენი კურიერები უზრუნველყოფენ ნივთის დაბრუნებას მაღაზიაში, რისი ხარჯიც გადახდილი იქნება კომპანიის მიერ;
- განაცხადის ფორმას თან დაურთოთ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სველი ბეჭდით დამოწმებული საგადახდო დავალება, რომლითაც დასტურდება თანხის მიმღები კომპანია);
- პროდუქტის გადაცვლა შესაძლებელია პროდუქტის ფერის ან ზომის გამო, იმავე მოდელის პროდუქტში, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან;
- გაცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციას აქვს შენარჩუნებული სარეალიზაციო იერსახე, არის იდეალურ მდგომარეობაში, თან ახლავს დოკუმენტები და მასზე დატანილი

ქარხნული იარლიყი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის დაზიანებული ან მოხსნილი/დაკარგული.

3. თუ თქვენ ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარს ამბობთ ხელშეკრულებაზე და ითხოვთ ნივთის დაბრუნებას და თანხის ანაზღაურებას, ამ შემთხვევაში:

- ნივთი უნდა დააბრუნოთ განაცხადის გაგზავნის შემდეგ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა უშუალოდ მისამართზე: საქართველო, თბილისი, BBC, ბესიკის ქ. 4 ან მოგვმართოთ და ჩვენი კურიერები უზრუნველყოფენ ნივთის დაბრუნებას მაღაზიაში, რისი ხარჯიც გადახდილი იქნება კომპანიის მიერ;

3. კომპანიის მიერ თანხის ანაზღაურება

1. როდესაც პროდუქცია მოაღწევს ჩვენს საწყობში, შემოწმდება დაბრუნების პირობების შესაბამისად. თუ ნივთები შეესაბამება მოცემულ პირობებს: თუ პროდუქცია გამოუყენებელია, დაუზიანებელია, ყველა დოკუმენტი თან ახლავს, სარეალიზაციო მდგომარეობა შენარჩუნებულია დაბრუნება დადასტურდება, რის შესახებაც მიიღებთ მოკლე-ტექსტურ შეტყობინებას. დაბრუნების პირობების დარღვევის შემთხვევაში გეცნობებათ დაბრუნებაზე უარის თქმის შესახებ, მიზეზის მითითებით.

2. მომხმარებელს თანხა დაუბრუნდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში. თანხა დაბრუნდება შეძენისას განხორციელებული გადახდის მეთოდით, იმავე ანგარიშზე.

3. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევასი კომპანიას უფლება აქვს უარის თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს.

IV. უარყოფითი გადაწყვეტილება

უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ნივთი უკან დაგიბრუნდებათ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

V. ხელშეკრულების სხვა პირობები

წინამდებარე დაბრუნების პოლიტიკა წარმოადგენს საქონლის ნასყიდობის დისტანციური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შესაბამისად მხარეთა ურთიერთობის ის პირობები, რომელიც არ რეგულირდება წინამდებარე პოლიტიკით, რეგულირდება საქონლის ნასყიდობის დისტანციური ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად.